

თავი I. ზოგადი დებულებები

- 1.1 პროფესიული კავშირის სახელწოდებაა: საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი.
- 1.2 პროფესიული კავშირის ცენტრალური ოფისის მისამართია: 0186 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. I შესახვევი, #43, ტელ: 32-37-35; 32-37-70; ფაქსი: 32-37-35, ელ. ფოსტა: info.pstug@gmail.com, ვებ-გვერდი: www.pstug.ge
- 1.3 “საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი” წარმოადგენს საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირის უფლებამონაცვლეს.
- 1.4 პროფესიული კავშირი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, აქვს მისი დასახელების მრგვალი ბეჭედი, შტამპი, დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშები ბანკებში, ეროვნული და უცხოური ვალუტით.
- 1.5 პროფესიული კავშირი თავისი საწესდებო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ.
- 1.6 პროფესიული კავშირი დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ირჩევს ხელმძღვანელ წარმომადგენლობით არჩევით ორგანოებს.
- 1.7 პროფესიული კავშირი დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, თანამდებობის პირების, დამსაქმებლების, მათი გაერთიანებებისაგან, არ არის ანგარიშვალდებული და არ ექვემდებარება მათ კონტროლს. მათთან ურთიერთობას (თანამშრომლობას) ახორციელებს თანასწორუფლებიანი პარტნიორობის საფუძველზე.
- 1.8 პროფესიული კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული კონვენციებისა და რეკომენდაციების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.9 საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი არის საერთო შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს: საჯარო სამსახურის, სახელმწიფო ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), მათ სტრუქტურებში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებების, სამართალდამცავი, სახელმწიფო კონტროლის, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების და მათ მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირებში (სსიპ), საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებში (ააიპ) დასაქმებულებს.

1.10. პროფესიულ კავშირს აქვს სიმბოლოები (დროშა, ემბლემა, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი), რომლებიც მტკიცდება პროფესიული კავშირის კონგრესის (საერთო კრების) ან გამგეობის მიერ.

1.11. პროფესიული კავშირის სამუშაო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე - აფხაზური და ქართული.

თავი II. პროფესიული კავშირის ამოცანები და საქმიანობის

ძირითადი პრინციპები

2.1. პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) პროფესიული კავშირის წევრთა თანასწორუფლებიანობა;
- ბ) ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევითობა და ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა წინაშე;
- გ) ხელმძღვანელობის კოლეგიურობა;
- დ) ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა;
- ე) ურთიერთინფორმირება;
- ვ) დემოკრატიული პრინციპების დაცვა;
- ზ) გადაწყვეტილების საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- თ) პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულების აუცილებლობა პროფკავშირული ორგანიზაციებისა და პროფკავშირის წევრთათვის;
- ი) სოლიდარობა საერთო მიზნების მისაღწევად;
- კ) სოციალური პარტნიორობა, თანამშრომლობა დამსაქმებელთან და მათ გაერთიანებებთან.

2.2. პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- ა) პროფესიული კავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული და სამართლებრივი უფლებების, ინტერესებისა და გარანტიების დაცვა და მათი წარმომადგენლობა;

- ბ) ორგანიზაციული და ფინანსური განმტკიცება;
- გ) საწესდებო მოთხოვნების შესრულება;
- დ) საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა;
- ე) პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია;
- ვ) სისტემატიური და თანმიმდევრული ზრუნვა წევრთა ცხოვრების დონის ამაღლების, შრომის სამართლიანი, ღირსეული ანაზღაურების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მისაღწევად, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შესაქმნელად.
- ზ) დამსაქმებელთან (დამსაქმებლებთან) სოციალური პარტნიორობით წევრთათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების, გარანტიების და შეღავათების გაფართოება;
- თ) სოლიდარობის განმტკიცება;
- ი) საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებებთან, ცენტრებთან და საზღვარგარეთის მონათესავე პროფესიულ კავშირებთან ურთიერთობა.

2.3. პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

- ა) პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებების რეალიზება;
- ბ) პროფესიული კავშირის წევრთათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების, გარანტიების და შეღავათების სრული რეალიზება;
- გ) პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის საინფორმაციო-მეთოდური დახმარების გაწევა, პროფკავშირული კადრების მომზადება და სწავლება, მოწინავე გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;
- დ) საინფორმაციო-მეთოდური, კულტურულ-საგანმანათლებლო, საგამომცემლო, დასვენებისა და სპორტული საქმიანობის განხორციელება;

2.4. პროფესიული კავშირი თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

- ა) მონაწილეობს შესაბამის ორგანოებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების, შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების წინასწარ განხილვაში, შეიმუშავებს ალტერნატიულ წინადადებებს, ამ ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობას

წარმართავს დემოკრატიულობისა და თანაბარუფლებიანობის სრული დაცვის საფუძველზე;

- ბ) მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, დამსაქმებელთა, ან მათი გაერთიანებების წინაშე დაყენებული საკითხების და წინადადებების წინასწარ განხილვაში;
- გ) შეაქვს წინადადებები და რეკომენდაციები პროფესიული კავშირის წევრთა შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისების ფორმებისა და სარგოების ოდენობის განსაზღვრის მიზნით;
- დ) მონაწილეობს დამსაქმებელთა (დამსაქმებელთა გაერთიანებების) კოლექტიური ორგანოებისა და მოხელეთა საკონკურსო კომისიების მუშაობაში;
- ე) წარადგენს წინადადებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში წევრთა ცხოვრების დონის ძირითადი კრიტერიუმებისა და კომპენსაციების განსაზღვრის თაობაზე;
- ვ) მონაწილეობს ყველა დონის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით;
- ზ) იყენებს ყველა მინიჭებულ უფლებას თავისი მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად.
- თ) მართავს მოლაპარაკებებს და შეხვედრებს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, დამსაქმებელთა წარმომადგენლობებთან პროფესიული კავშირის მიერ მათ წინაშე დაყენებული საკითხებისა და წინადადებების განსახილველად და შეთანხმების მისაღწევად.
- ი) ავრცელებს საჯარო განცხადებებს, მოთხოვნებს და წინადადებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;
- კ) ატარებს ღონისძიებებს ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში პროფესიული კავშირის წევრობის მოტივაციის გაძლიერების და პროფესიულ კავშირში ახალი წევრების მოზიდვის მიზნით;
- ლ) თანამშრომლობს საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და მონათესავე პროფესიულ კავშირებთან, მათი გამოცდილების გაცნობისა და დანერგვის მიზნით.
- მ) აკვირდება და კონტროლს უწევს დასაქმებულთა უფლებებთან დაკავშირებულ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით,

სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და არსებული მდგომარეობის თაობაზე, ინფორმაციას აწვდის პროფესიული კავშირის წევრებს, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას და გლობალურ პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

- ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობს საჯარო დაწესებულების დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელ კომისიაში.
- გ) მიმართავს საჯარო სამსახურის საბჭოს წინადადებებით საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით.

თავი III. პროფესიული კავშირის წევრები,

მათი უფლებები და ვალდებულებები

3.1. პროფესიული კავშირის წევრი შეიძლება იყოს წინამდებარე წესდების 1.9. მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკი, რომელიც იწონებს პროფესიული კავშირის მიზნებსა და ამოცანებს, ცნობს, აღიარებს პროფესიული კავშირის წესდებსა და იხდის საწევრო შენატანს.

3.2 პროფესიული კავშირში შესვლა და გასვლა ნებაყოფლობითია, პროფესიული კავშირის წევრად მიღება (გასვლა) ხორციელდება ინდივიდუალური ან კოლექტიური წესით, პროფესიული კავშირის თავმჯდომარის სახელზე წერილობითი განცხადების (მომართვის) საფუძველზე;

3.3. პროფესიული კავშირის წევრად აღრიცხვას (აყვანა, მოხსნა) აწარმოებს პროფესიული კავშირის სტრუქტურული ქვედანაყოფები, პროფკავშირული ორგანიზაცია, პროფესიული კავშირის წევრობა აღიარებულა წევრად მიღების თაობაზე განცხადების (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) შეტანის დღიდან.

3.4. პროფესიული კავშირის წევრზე შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციაში ივსება სააღრიცხვო ჟურნალი და გაიცემა პროფესიული კავშირის წევრის დამადასტურებელი მოწმობა.

3.5. პროფესიული კავშირის წევრს უფლება აქვს:

- ა) მოსთხოვოს პროფესიული კავშირის ან შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციას მისი შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული, სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

ბ) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული კავშირის, მისი შესაბამისი პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში შეიტანოს თავისი წინადადებები მოსამსახურეთა (მუშაკთა) სოციალური, შრომითი, პროფესიული უფლებების, ინტერესების დაცვისა და გაუმჯობესების მიზნით;

გ) მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების შემუშავებაში, განხილვასა და მიღებაში, მიიღოს ინფორმაცია პროფესიული კავშირის საქმიანობის შესახებ;

დ) აირჩიოს და იყოს არჩეული პროფესიული კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, აგრეთვე კონფერენციისა და კონგრესის დელეგატად;

ე) მიიღოს პროფესიული კავშირის და შესაბამისი პროფკავშირული ორგანიზაციიდან უფასო იურიდიული დახმარება დამსაქმებელთან ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავის დროს, მოითხოვოს დაცვა სასამართლოში.

ვ) ისარგებლოს პროფესიული კავშირის სახსრებით, ქონებით, საწესდებო მიზნების განხორციელებისას;

3.6. პროფესიული კავშირის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას და შეასრულოს ამ წესდების მოთხოვნები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული კავშირის საქმიანობაში;

გ) დროულად გადაიხადოს საწევრო შენატანი;

დ) არ განახორციელოს ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის პროფესიული კავშირის საქმიანობას;

ე) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული კავშირის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში;

3.7. პროფესიული კავშირის წევრად დარჩენის უფლება აქვს პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა: ავადმყოფობის, დეკრეტული შვებულების, გაფიცვის, შეიარაღებულ ძალებში ან სამხედრო შეკრებაზე გაწვევის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული გადამზადების ან სწავლების გამო;

3.8. პროფესიული კავშირის წევრს შეიძლება შეუწყდეს პროფკავშირის წევრობა:

ა) საწესდებო მოთხოვნების შეუსრულებლობის, საწევრო შენატანების 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გადაუხდელობის გამო;

ბ) პროფესიული კავშირის საზიანოდ მიმართული ქმედებისათვის;

გ) პროფესიული კავშირის ან პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოს დადგენილების საფუძველზე.

დ) საკუთარი განცხადების საფუძველზე ან გარდაცვალების გამო.

3.9. პროფესიული კავშირის წევრი შრომით და პროფესიულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის შეიძლება დაჯილდოვდეს სიგელით, ფულადი პრემიით, ფასიანი საჩუქრით, აგრეთვე, რეკომენდაცია გაეწიოს სახელმწიფო ჯილდოზე წარსადგენად.

თავი IV. პროფესიული კავშირის

სტრუქტურული ქვედანაყოფები (ორგანიზაციები)

4.1. საწესდებო მიზნებისა და ამოცანების განხორციელების, პროფესიული კავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით პროფესიული კავშირის ქმნის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომლებიც წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

4.2. პროფესიული კავშირის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: პირველადი, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური ორგანიზაციები.

4.3. პროფესიული კავშირის ორგანიზაციული წყობის საფუძველია პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც იქმნება დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, უწყებაში, სადაც არანაკლებ პროფკავშირის 3 წევრია.

4.4. პროფესიული კავშირის გაერთიანებული ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას ორი ან მეტი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საზოგადოებრივი გაერთიანებების ერთ ან რამოდენიმე მონათესავე სტრუქტურაში, დაწესებულებაში, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4.5. პროფესიული კავშირის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთიანდებიან მუნიციპალიტეტის პროფკავშირულ ორგანიზაციაში;

4.6. პირველადი, გაერთიანებული, მუნიციპალიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ერთიანდებიან შესაბამის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში;

- 4.7. საქართველოს საკანონმდებლო, სამთავრობო და სასამართლო ხელისუფლების პირველადი, გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციები წარმოადგენენ პროფესიული კავშირის უშუალო სტრუქტურულ ქვედანაყოფებს;
- 4.8. ამ წესდების 4.2. პუნქტში ჩამოთვლილი თითოეული პროფკავშირული ორგანიზაციის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებით და კონგრესის მიერ დამტკიცებული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის და მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციის დებულებებით;
- 4.9. პროფკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზეა პროფესიული კავშირის 100 - მდე წევრი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა კრება, ხოლო პროფკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზეა პროფესიული კავშირის 100-ზე მეტი წევრი - კონფერენცია;
- 4.10. პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოა კომიტეტი.
- 4.11. პროფკავშირული ორგანიზაციის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა პროფესიული კავშირის და პროფკავშირული ორგანიზაციის საკონტროლო-სარევიზიო კომისია, რომლებიც მუშაობას წარმართავენ პროფესიული კავშირის კონგრესის მიერ დამტკიცებული საკონტროლო-სარევიზიო კომისიის დებულებით. კომისიის თავმჯდომარე არის მორიგი კონფერენციის (კრების) დელეგატი;
- 4.12 პროფკავშირული ორგანიზაციების კომიტეტის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ოთხ თვეში ერთხელ.
- 4.13 პროფესიული კავშირის უშუალო პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის თაობაზე დადგენილებას იღებს პროფესიული კავშირის გამგეობა ან პროფკავშირული ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, კონფერენცია. ანალოგიურად ხორციელდება მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციების წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების მიერ პროფკავშირული ორგანიზაციების დაფუძნება.
- 4.14 პროფკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზეა 100-ზე ნაკლები პროფესიული კავშირის წევრი, კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ;
- 4.15. პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ გახსნილი ანგარიში ბანკში და პროფესიული კავშირის გამგეობის მიერ დაწესებული ნიმუშის ბეჭედი;
- 4.16. პროფკავშირული ორგანიზაციის გათავისუფლებული თავმჯდომარის თანამდებობის შემოღების (გაუქმების) და თავმჯდომარეების შრომის ანაზღაურების

თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული კავშირის გამგეობა დამტკიცებული ნორმატივების საფუძველზე;

4.17. პროფკავშირული ორგანიზაციების ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით.

თავი V. პროფესიული კავშირის უმაღლესი, ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოები

5.1. პროფესიული კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) პროფესიული კავშირის კონგრესი (წევრთა საერთო კრება);

ბ) პროფესიული კავშირის გამგეობა;

5.2. პროფესიული კავშირის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა პროფესიული კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისია.

თავი VI. პროფესიული კავშირის კონგრესი

6.1. პროფესიული კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოა პროფესიული კავშირის კონგრესი (წევრთა საერთო კრება).

6.2. პროფესიული კავშირის საანგარიშო-საარჩევნო კონგრესი მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ.

6.3. კონგრესის დელეგატებს, დემოკრატიული პრინციპებისა და გენდერული ბალანსის დაცვით, ირჩევენ პროფესიული კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციების კონფერენციები (საერთო კრებები), წინამდებარე წესდებით დადგენილი კვოტის მიხედვით:

პროფკავშირის წევრთა რაოდენობა	კონგრესის დელეგატთა რიცხოვნობა
100 წევრამდე	1
101-დან 300-მდე	3
301-დან 600-მდე	5
601-დან 800-მდე	7
801-დან 1000-მდე	9

6.4. პროფესიული კავშირის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები არიან მორიგი კონგრესის დელეგატები.

6.5. პროფესიული კავშირის კონგრესის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ, დადგენილებას იღებს პროფესიული კავშირის გამგეობა ორი თვით ადრე მაინც, ხოლო ჩატარების კონკრეტული თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს კონგრესის ყველა დელეგატს კონგრესამდე ერთი თვით ადრე მაინც;

6.6. პროფკავშირულ ორგანიზაციებში კონგრესის დელეგატთა არჩევნების, საანგარიშო-საარჩევნო კრებების (კონფერენციების) დაწყებისა და დამთავრების ვადებს განსაზღვრავს პროფესიული კავშირის გამგეობა კონგრესამდე 6 თვით ადრე მაინც;

6.7. პროფესიული კავშირის რიგგარეშე კონგრესი კონგრესის ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს კონგრესის ყველა დელეგატს გამგეობის მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ, კონგრესამდე ორი კვრით ადრე.

6.8. პროფესიული კავშირის რიგგარეშე კონგრესი შეიძლება მოწვეულ იქნას პროფესიული კავშირის გამგეობის დადგენილებით;

ა) გამგეობის ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ინიციატივით;

გ) პროფკავშირული ორგანიზაციების ერთი მესამედის ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოების დადგენილებების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიული კავშირის წევრთა რაოდენობის არანაკლებ ერთ მესამედს.

6.9. კონგრესის დელეგატების უფლებამოსილება განისაზღვრება ოთხი წლით, რიგითი კონგრესის დელეგატებს უფლებამოსილება უგრძელდებათ რიგგარეშე კონგრესზე;

6.10. კონგრესის დელეგატის უფლებამოსილების შეწყვეტის (არჩევის) უფლება აქვს პროფესიული კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციის კრებას, კონფერენციას რომელმაც მოახდინა მისი არჩევა.

6.11. პროფესიული კავშირის რიგგარეშე კონგრესს აქვს იგივე უფლებები, რაც მორიგ საანგარიშო-საარჩევნო კონგრესს.

6.12. კონგრესი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილებები, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა;

6.13. პროფესიული კავშირის კონგრესის დადგენილება მიიღება კონგრესზე დამსწრე დელეგატთა ხმების უმრავლესობით, ხოლო დადგენილება წესდების შეცვლის თაობაზე ორი მესამედის უმრავლესობით. დელეგატებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კონგრესს (საერთო კრებას), შეუძლიათ წერილობით მიიღონ მასში მონაწილეობა და ისინი უთანაბრდებიან კონგრესზე დამსწრე დელეგატებს;

6.14. პროფესიული კავშირის საანგარიშო- საარჩევნო კონგრესი:

ა) ისმენს პროფესიული კავშირის გამგეობის ანგარიშს, განიხილავს და შეფასებას აძლევს პროფესიული კავშირის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას;

ბ) ისმენს, იხილავს და ამტკიცებს პროფესიული კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშს;

გ) განსაზღვრავს პროფესიული კავშირის საქმიანობის სამოქმედო პროგრამას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის;

დ) იღებს პროფესიული კავშირის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ე) ამტკიცებს პროფესიული კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის, პირველადი პროფკავშირული და მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციის დებულებებს; ინსტრუქციას პროფკავშირული ორგანოების არჩევნების შესახებ; კონგრესის და გამგეობის მუშაობის რეგლამენტს და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებს, შეაქვს მათში ცვლილებები და დამატებები;

ვ) განსაზღვრავს კენჭისყრის ჩატარების ფორმას (ღია, ფარული);

ზ) კონგრესის დელეგატთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს;

თ) პროფესიული კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით დელეგატთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს;

ი) განსაზღვრავს პროფესიული კავშირის გამგეობის რაოდენობრივ შემადგენლობას და ირჩევს გამგეობას;

კ) განსაზღვრავს საკონტროლო-სარევიზიო კომისიის რაოდენობრივ შემადგენლობას, ირჩევს საკონტროლო-სარევიზიო კომისიას და მისი შემადგენლობიდან კომისიის თავმჯდომარეს.

თავი VII. პროფესიული კავშირის გამგეობა

7.1. გამგეობა წარმოადგენს პროფესიული კავშირის წარმომადგენლობით (არჩევით) ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს პროფესიული კავშირის საქმიანობას კონგრესებს შორის პერიოდში და ანგარიშვალდებულია კონგრესის წინაშე;

7.2. პროფესიული კავშირის გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ოთხ თვეში ერთხელ მაინც;

7.3. პროფესიული კავშირის გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) პროფესიული კავშირის თავმჯდომარის ინიციატივით;

ბ) გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნის საფუძველზე.

7.4. პროფესიული კავშირის გამგეობა უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო მისი დადგენილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

7.5. გამგეობა:

ა) წარმართავს პროფესიული კავშირის პრაქტიკულ საქმიანობას საწესდებო მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად, პროფესიული კავშირის კონგრესის დადგენილებების და სამოქმედო პროგრამის შესასრულებლად;

ბ) აწესრიგებს პროფკავშირულ აღრიცხვას, ამტკიცებს სტატისტიკურ ანგარიშებს;

გ) განსაზღვრავს კონგრესის მოწვევის თარიღს, ადგილსა და დღის წესრიგს;

დ) საჭიროების შემთხვევაში ქმნის კომისიებს და ისმენს მათი მუშაობის ანგარიშს;

ე) იხილავს საკითხს ამ წესდების 10.3 და 10.5 მუხლებით განსაზღვრული პროფესიული კავშირის წევრის საწევრო შენატანის და პროფკავშირული ორგანიზაციიდან პროფესიულ კავშირში ცენტრალიზებულად ჩარიცხული საწევრო-შენატანის 100%-დან, პროფესიულ კავშირში დასარჩენი საწევრო-შენატანის %-ული ოდენობის შეცვლის თაობაზე.

ვ) ამტკიცებს პროფესიული კავშირის ბიუჯეტს, იხილავს მისი შესრულების მდგომარეობას;

ზ) განაგებს პროფესიული კავშირის ქონებას (საკუთრებას), ფულად სახსრებს, დაფუძნებული სამეწარმეო (კომერციული) სტრუქტურების საქმიანობას;

თ) ამტკიცებს პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს;

- ო) ისმენს პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ანგარიშებს;
- კ) აწესებს პროფესიული კავშირის წევრის დამადასტურებელი მოწმობის (ბილეთის) და სააღრიცხვო ბარათის ერთიან ნიმუშებს;
- ლ) საანგარიშო-საარჩევნო პერიოდში გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში (ავადმყოფობის, გარდაცვალების, სხვა სამუშაოზე გადასვლის და სხვა მიზეზით) გამგეობას უფლება აქვს მის შემადგენლობაში შეიყვანოს გამგეობის წევრის უფლებამონაცვლე პირი;
- მ) გამგეობის უფლებამოსილების ვადა გრძელდება მომდევნო საანგარიშო-საარჩევნო კონგრესამდე;
- ნ) პროფესიული კავშირის გამგეობის სხდომების მუშაობაში, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეები;

7.6. პროფესიული კავშირის სამდივნო:

- ა) პროფესიული კავშირის სამდივნო იქმნება პროფესიული კავშირის ხელმძღვანელთა კოლეგიალობის, მათი საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის მიზნით;
- ბ) პროფესიული კავშირის სამდივნოს შემადგენლობაში შედიან პროფესიული კავშირის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები;
- გ) პროფესიული კავშირის სამდივნო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს.

თავი VIII. თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები

- 8.1. პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს დელეგატთაგან ირჩევს პროფესიული კავშირის საანგარიშო-საარჩევნო კონგრესი 4 წლის ვადით.
- 8.2. აფხაზეთის და აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციების თავმჯდომარეები თანამდებობრივად არიან პროფესიული კავშირის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილეები.
- 8.3. პროფესიული კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, ან მისი არყოფნის შემთხვევაში ერთ-ერთი მოადგილე. პროფესიული კავშირის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების უფლებამოსილება გრძელდება მომდევნო საანგარიშო-საარჩევნო კონგრესამდე.

8.4. პროფესიული კავშირის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები ამავე დროს არიან პროფესიული კავშირის გამგეობის წევრები.

8.5. პროფესიული კავშირის თავმჯდომარის პირადი განცხადების საფუძველზე გადადგომის, ან საწესდებო მოთხოვნების უხეში დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული კავშირის გამგეობა ვალდებულია განიხილოს საკითხი თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ მოიწვიოს რიგგარეშე კონგრესი, რომელიც აირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

8.6. პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) პირადი განცხადების საფუძველზე გადადგომის ან საწესდებო მოთხოვნების უხეში დარღვევის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) გათავისუფლების შესახებ დადგენილებას იღებს პროფესიული კავშირის გამგეობა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილის უფლება - მოვალეობას დარჩენილი ვადით აკისრებს გამგეობის ერთ-ერთ წევრს.

8.7. პროფესიული კავშირის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები ხელმძღვანელობენ პროფესიული კავშირის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს. ფუნქციების განაწილებას თავმჯდომარის მოადგილეებს შორის, თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული კავშირის გამგეობა.

8.8. პროფესიული კავშირის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს პროფესიული კავშირის მიზნების, ამოცანების, სამოქმედო პროგრამის, კონგრესისა და გამგეობის დადგენილებების შესრულებას;

ბ) წარმოადგენს პროფესიულ კავშირს და იცავს მის ინტერესებს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, დამსაქმებელთა, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებში, საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებში;

გ) თავმჯდომარეობს კონგრესის და გამგეობის სხდომებს;

დ) პროფესიული კავშირის სახელით მონაწილეობს მოლაპარაკებებში, სხდომებში, თათბირებში, შეხვედრებში, სემინარებში, კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში;

ე) ხელს აწერს პროფესიული კავშირის კონგრესის და გამგეობის დადგენილებებს, შეთანხმებებს, ხელშეკრულებებს, წერილებს, განცხადებებს, მიმართვებს, კორესპოდენციებს, საფინანსო და სხვა დოკუმენტებს;

ვ) ახორციელებს პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დასახულ სხვა ღონისძიებებს;

ზ) განკარგავს პროფესიული კავშირის ფულად სახსრებს გამგეობის გადაწყვეტილებების საფუძველზე.

თავი IX პროფესიული კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისია

9.1. პროფესიული კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისია (შემდგომში კომისია) ახორციელებს კონტროლს პროფესიული კავშირის საწესდებო მოთხოვნების, წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოების დადგენილებების, პროფკავშირის ბიუჯეტის შესრულებაზე, ფულადი სახსრების, საკუთრების (ქონების) და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე, გამოყენებაზე და ხარჯვაზე. ზედამხედველობას უწევს პროფესიული კავშირის წევრთა განცხადებების, წინადადებების, კრიტიკული შენიშვნებისა და საჩივრების განხილვის ვადების დაცვას;

9.2. კომისიის თავმჯდომარეს და კომისიას ამ წესდების 6.14 მუხლის კ) პუნქტის შესაბამისად, ირჩევს პროფესიული კავშირის კონგრესი;

9.3. კომისიის წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს პროფესიული კავშირის სხვა წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოს წევრი;

9.4. კომისიის თავმჯდომარე არის კომისიის წევრი და მორიგი კონგრესის დელეგატი;

9.5. კომისია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია მხოლოდ პროფესიული კავშირის კონგრესის წინაშე და პროფკავშირული ორგანიზაციების კომისიებთან ერთად მოქმედებს კონგრესის მიერ დამტკიცებული “საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შესახებ” დებულების შესაბამისად;

9.6. კომისიის დადგენილება სავალდებულოა შესასრულებლად პროფესიული კავშირის და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის.

თავი X. პროფესიული კავშირის ქონება (საკუთრება)

10.1. პროფესიული კავშირი ამ წესდების შესაბამისად ფლობს, განაგებს და განკარგავს მის მიერ შექმნილ ქონებას და ფულად სახსრებს:

ა) პროფესიული კავშირის ქონება და ფულადი სახსრები ხელშეუხებელია, არავის არა აქვს უფლება განკარგოს, ჩამოართვას ან გადასცეს მისი ქონება და ფულადი სახსრები პროფესიული კავშირის კონგრესის ან გამგეობის თანხმობის გარეშე;

ბ) პროფესიული კავშირის და პროფკავშირული ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობანი და სხვა ქონება წარმოადგენს პროფესიული კავშირის ქონებას, ხოლო მათი ფლობის, გამოყენების და განკარგვის წესს განსაზღვრავს პროფესიული კავშირის კონგრესი ან გამგეობა.

10.2. პროფესიული კავშირის ფულადი სახსრები იქმნება:

- ა) პროფესიული კავშირის წევრთა საწევრო შენატანებისაგან (ანარიცხებისაგან);
- ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობებისაგან;
- გ) კანონმდებლობით დაშვებული სამეწარმეო-კომერციული, საგამომცემლო, კულტურულ - საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობისაგან;
- დ) თავისუფალი საფინანსო სახსრების საბანკო დაწესებულებებში განთავსებით ფასიანი ქაღალდების გამოცემით მიღებული მოგებიდან, პროფესიული კავშირის კუთვნილი აქციებიდან;
- ე) საერთაშორისო პროფკავშირული გაერთიანებებიდან (პროფკავშირებიდან) მიღებული დახმარებისაგან;
- ვ) კანონმდენლობით დაშვებული სხვა შემოსავლებიდან.

10.3. პროფესიული კავშირის ფულადი სახსრების ძირითადი წყაროა პროფესიული კავშირის წევრთა ყოველთვიური საწევრო შენატანები (შემდგომში ანარიცხები). პროფესიული კავშირის წევრის ყოველთვიური საწევრო ანარიცხი შეადგენს შრომითი ანაზღაურების (ხელფასის) 1%-ს, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, წელთა ნამსახურებისათვის, საკლასო ჩინისათვის დაწესებულ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

10.4. პროფესიული კავშირის წევრის პირადი განცხადების საფუძველზე, ხელფასიდან ყოველთვიურად დაკავებული საწევრო-ანარიცხების გადარიცხვა პროფესიული კავშირის ერთიან ანგარიშზე ხორციელდება ცენტრალიზებული წესით ბუღალტერიის მეშვეობით.

10.5. პროფკავშირული ორგანიზაციიდან პროფესიულ კავშირში ცენტრალიზებულად ჩარიცხული საწევრო-ანარიცხების 100%-დან, პროფესიულ კავშირში რჩება საწევრო-ანარიცხების 25%, სადაც ძირითადი სამუშაოდან გათავისუფლებული თავმჯდომარეა, ხოლო სადაც შეთავსებით მომუშავე თავმჯდომარეა 35%.

10.6.საჭიროების შემთხვევაში პროფკავშირის წევრის მიერ საწევრო-ანარიცხების გადახდა შეიძლება განხორციელდეს ბანკის მეშვეობით პროფესიული კავშირის ერთიან ანგარიშზე გადარიცხვით.

10.7. პროფესიულ კავშირს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს პროფესიული კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესატყვისი ნებისმიერი სამეწარმეო-კომერციული საქმიანობა.

10.8. სამეურნეო საქმიანობიდან დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით პროფესიული კავშირი უფლებამოსილია გამოიყენოს მის კუთვნილებაში არსებული ქონება, ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები.

თავი XI. პროფესიული კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1. პროფესიული კავშირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება პროფესიული კავშირის კონგრესის დადგენილებით;

11.2. პროფესიული კავშირის ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თავი XII. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლება აქვს პროფესიული კავშირის კონგრესს;

12.2. პროფესიული კავშირის წევრთა რიცხოვნობა დგინდება სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით ყოველი წლის პირველი თებერვლისათვის;

12.5. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესდებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და პროფესიული კავშირის კონგრესის მიერ დამტკიცებული დებულებებით, ინსტრუქციებითა და რეგლამენტებით.

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა

პროფესიული კავშირის

თავმჯდომარე

/ნუგზარ ჭინჭარაული/